ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 388

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ.თბილისში, სანაპიროს ქუჩა №2-ში მდებარე 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.022) ირინე გეგეჭკორისთვის (პ/ნ: 01024009923) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, სანაპიროს ქუჩა №2-ში მდებარე 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.022) ირინე გეგეჭკორისთვის (პ/ნ: 01024009923) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 ნოემბრის №44.12.936 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, სანაპიროს ქუჩა №2-ში მდებარე 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.022) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2600 (ორიათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლის 31 ივლისამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**